ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

დავით აღმაშენებლის გამზ. №55/კიევის ქ. 1

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პირველ სართულის კომერციული ფართის რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტისათვის



თბილისი

2026, აგვისტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №55/კიევის ქ. №1, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სამსართულიანი ნაგებობა, XIX ს-ის თბილისური ამპირის სახასიათო ნიმუშია. მსგავსი ნაგებობები შემონახულია დ. აღმაშენებლისა და რუსთაველის გამზირის მიმდებარე ქუჩებზე.



საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად, მიხეილის გამზირის სამხრეთი მხარე XIX ს-ის შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის გამზირზე.

XVIII ს.ტერიტორია, რომელზედაც დღეს შენობა მდებარეობს, ეკალ- ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის).



ამ მიწების აქტიური ათვისება მხოლოდ 1818 წლიდან, გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელება კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის გამზირი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.



არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის გამზირზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.





საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის გამზირის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის გამზირზე.



არსებობდა გერმანული კოლონიის პერსპექტიული განვითარების გეგმა, რომელიც თბილისში მტკვრის მარცხენა მხარეზე გერმანული დასახლების განვითარების სურვილს ასახავდა.

ნოი ტიფლისის, იგივე ახალი თბილისის კოლონია, სოფელ კუკიის ტერიტორიაზე დაარსდა, რაც დღეს დ. აღმაშენებლის გამზირსა და მის პარალელურ ქუჩებს ემთხვევა. ალექსანდერსდორფელი გერმანელებისგან განსხვავებით, აქ ხელოსნები დასახლდნენ და მათ მხოლოდ საკარმიდამო მიწები დაურიგეს. ნოი ტიფლისის გერმანელები სხვადასხვა ატელიეებს და სახელოსნოებს ხსნიდნენ. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლოს მეიერების ოჯახი დღევანდელი დ. აღმაშენებლის გამზირზე სარიტუალო მომსახურების ბიზნესს ფლობდა. როგორც ცნობილია, ოჯახი თავად ამზადებდა სარიტუალო აქსესუარებს და შენობის პირველ სართულზე, მაღაზიაში ჰყიდდა. ისინი ასევე ფლობდნენ აფთიაქსა და სავაჭრო სახლსაც.



არქიტექტურული თვალსაზრისით, ნოი ტიფლისისა და ალექსანდერსდორფის სახლების სტილი ერთი იყო. ორივე დასახლებაში გავრცელებული იყო ერთსართულიანი სახლები მაღალი სახურავებით, რომელშიც ფართო სხვენი იყო მოთავსებული.



ახალი თბილისის დასახლებაში სახლებს ბაღები ერტყა, სადაც ხეხილს, ვენახსა და ყვავილებს ახარებდნენ. ორ რიგად განლაგებულ ერთსართულიან სახლებს შორის ფართო გზა გადიოდა, რომელთაგან მთავარი კუკიის გზა იყო. მას 1899 წლიდან მიხეილის გამზირი ეწოდა. ერთმანეთის პარალელური რიგები მცირე მონაკვეთებით იყო შეერთებული. უბნის დღევანდელი ქუჩათა ქსელი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება გერმანელი კოლონისტების ბაღების მოხაზულობას.

იმპერატორის მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად, პირველ წლებში კოლონისტები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – უჭირდათ აქაურ კლიმატთან შეგუება, ებრძოდნენ ეპიდემიასა და მოუსავლიანობას.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ხელისუფლებამ და მიუხედავად შეპირებული რწმენის თავისუფლების გარანტიებისა, რელიგიური პოლიტიკა შეცვალა.

იმპერიისა და გერმანული თემის დაფინანსებით, 1894 წელს ნოი ტიფლისის დასახლებაში, დღევანდელი მარჯანიშვილის მოედანზე, წმინდა პეტრესა და პავლეს ლუთერული ტაძრის მშენებლობა დაიწყო. სამი წლის შემდეგ ის საზეიმოდ გაიხსნა და პასტორად რიჰარდ მეიერი აკურთხეს. ნეოგოთიკური სტილის ტაძრის პროექტი გერმანელ არქიტექტორს, ლეოპოლდ ბილფელდს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ მისივე აგებულია თბილისის ქაშვეთის ეკლესია. სწორედ "კირხედან" მოდის მარჯანიშვილის ქუჩის ძველი სახელწოდება "კიროჩნაია".



მეორე სამამულო ომის დაწყების წინ, თბილისის გერმანული კოლონია სტალინის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. გერმანლები მასიურად გადაასახლეს ციმბირისა და ყაზახეთის დაუსახლებელი ადგილებში, ხოლო დრევანდელი მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარედ მდგარი გერმანული ლუთერანული ეკლესია ააფეთქეს.



ისტორიულ რუკაზე, ამ ადგილზე თბილისელი მეწარმის და მეცენატის სიმონ სლივიცკის კუთვნილი სახლებია აღნიშნული ამჟამად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დ. აღმაშენებლის №46 და დ. აღმაშენებლის №55



კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – დავით აღმაშენებლის №55/კიევის ქ. №1 სააღრიცხვო ბარათი №2776



“ძველი აგურით ნაშენი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მე-19 საუკუნეს განეკუთნება. ორი ქუჩის შესაყარზე მდგომი ნაგებობა აგურითაა ნაშენი, შელესილი და შეღებილია. მის მხატვრულ გაფორმებაში კლასიციზმისა და ამპირის ელემენტები გამოიყენება. შენობის დავით აღმაშენებლის გამზირისკენ მიმართული ფასადის პირველი სართული მაღაზიების ვიტრინებითაა გახსნილი. ფასადზე შენარჩუნებულია რუსტირება. ამავე მხარეს ცენტრალური სადარბაზოა პარადული შესასვლელით. სადარბაზოს კარის ღიობს თაღოვანი საპირე შემოუყვება, რომელსაც სანდრიკი ამკობს. კარის გვერდით შუქფარანია.





ინტერიერში შემორჩენილია მარმარილოს იატაკი, წითელი, შავი და თეთრი ფერის ფილებით შექმნილი ჭადრაკული ორნამეტით, მარმარილოსავე კიბეები და ორნამენტული ლითონის მოაჯირი. ეს შესასვლელი ფასადზე, მის ზემოთ მეორე და მესამე სართულზე აივნების განთავსებით და ატიკითაც გამოიყოფა. ამასთან, ვერტიკალურ ღერძს კიდევ უფრო ამძაფრებს ორივე სართულის შემაერთებელი პილასტრები.





ნაგებობას კიევის ქუჩიდან კიდევ ერთი სადარბაზო აქვს ხის ძველი კარითა და ლითონის ცხაურით. მომდევნო ორ სართულზე შენობის კედლები სარკმელების თანაბარზომიერი განლაგებითაა დანაწევრებული. მათ მამკობად გამოყენებლია იმპოსტი, მშვილდისებრი ან სამკუთხა ფრონტონი, მცენარეული ორნამენტით შემკული კრონშტაინები. კომპოზიცია სრულდება კარნიზითა და პარაპეტით.





ეზოს მხრიდან ნაგებობას შელესილი ფლიგელი აქვს. უფრო ღრმად, ფასადზე შენარჩუნებული ხის გალერეა სვეტებით, ორნამენტული მოაჯირითი და ხის კრონშტაინების მწკრივით. შენობას აქვს სარდაფი. ეზოს მხრიდან სახლს თბილისური ხის აივნებითა და შუშაბანდებით გაფორმებული ფასადი აკრავს,




ნაგებობა დომინანტს წარმოადგენს მიმდებარე ურბანულ ქსოვილში და დიდი მნიშვნელობის მქონეა ქალაქის ისტორიულ-არქიტექტურულ გააშენიანებაში.”

https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=2776

2009–2012 წლებში თბილისის მერიის ინიციატივით ჩატარდა დავით აღმაშენებლის გამზირის მასშტაბური რეაბილიტაცია: აღდგა ფასადები, განახლდა ინფრასტრუქტურა, განათება და ტროტუარები. ამ პროცესმა მოიცვა მრავალი ისტორიული შენობა, მათ შორის №55-ის მიმდებარე განაშენიანებაც. შენობა დღესაც ინარჩუნებს ისტორიულ იერსახეს და ფუნქციონირებს როგორც საცხოვრებელი/კომერციული ობიექტი.

შენობა რეაბილიტირებულია 2012 წელს, განახლებულია ფასადის იერსახე, გამაგრებულია კონსტრუქციული ნაწილი, გამოცვლილია სახურავი და ხის ელემენტები.







შენობის პირველი სართულის ერთ-ერთი კომერციული ფართი “კრედო ბანკის“ ოფისს უკავია. ინტერიერი მთლიანად განახლებულია და არ შეიცავს სიძველის რაიმე ნიშანს.




ოფისის უკანა მახარე ემიჯნება ეზოსკენ მიმართულ ბინას, რომელსაც არა აქვს ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, თუმცა დათვალიერებისას არ გამოვლინდა რაიმე მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები.






ბანკის ოფისთან მომიჯნავე ოთახის კედელზე ნიშა - თახჩა მდებარეობს, რომელიც მზიდ კედელში ღრმად არის შეჭრილი. კიდევ ერთი მსგავსი ნიშა გრძივ კედელზეც არის ამოჭრილი.





დასკვნა-რეკომენდაცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №55/კიევის ქ. №1 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პირველი სართულის "კრედო ბანკის" კუთვნილი კომერციული ფართის დაკავშირება მის უკან მდებარე ბინასთან შესაძლებელია ღრმად შეჭრილი ნიშის გახსნით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში ჩასატარებელი რეკონსტრუქციის პროექტისათვის აუცილებელია კონსტრუქციული დასკვნის წარმოდგენა ძეგლის მდგრადობაზე რეკონსტრუქციის პროექტის გავლენის თაობაზე.

ვიზუალური დათვალიერებით ეზოსკენ მიმართული ბინის ინტერიერი არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან მხატვრულ-არქიტექტურულ ელემენტებს გარდა ნალესი კარნიზებისა.

ფართის რეაბილიტაცია - ადაპტაცია შესაძლებელია თანამედროვე დიზაინ-პროექტის მიხედვით.

ხელოვნებათმცოდნე

ლალი ანდრონიკაშვილი